სათაური: გენდერი და არა სქესი

მოკლე აღწერა/მიმოხილვა
გენდერი არის სოციალურად კონსტრუირებული განსხვავებები ქალსა და მამაჯკაცს შორის. ამიტომ გენედერული უთანასწორობა ღრმად არის ფესვგადგმული კულტურასა და საზოგადეობაში. „კაცისა“ და „ ქალის“ ცნებები არის გარკვეული ისტორიული პერიოდისა და სოციალური კონტექსტის პროდუქტი და ამდენად განიცდის ტრანსფორმაციასა და ცვლილებას. ეს აქტიობა არის მოზარდებთან და ახალაგაზრდებთან მომუშავე ადამიანების უნარ-ჩვევების შემუშავების სარესურსო პაკეტის ნაწილი გენდერისა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის საკითხებზე, რომელიც შემუშავებულ იქნა : de Bruyen, M.7 France, N (2001). Gender or sex? Who cares?. Chapel Hill: Ipas საფუძველზე.

თემა: სქესი, გენდერი და გენდერული სტერეოტიპები

დრო: 30 წთ

ჯგუფის სიდიდე: 8-25 მონაწილე

მიზნები
სქესსა და გენდერს შორის განსხვავების გაგება და გენედრული სტერეოტიების გამოცნობა

საჭირო მასალები:
- ფლიფცარტი
- მარკერები
- სკოჩი

ნაბიჯ-ნაბიჯ

1.ფლიფჩარტის ფურცელი გაყავით სამ ვერტიკალურ სვეტად. პირველ სვეტს დააწერეთ „ქალი“, ორი დანარჩენი დატოვეთ ისე. თხოვეთ მონაწილეებს ჩამოთვალონ ის პიროვნული თვისებები, უნარები და როლები, რომელიც მიეწერება ქალს; ეს ჩამონათვალი შეიძლება მოიცავდეს იმ სტერეოტიპებს, რომელიც გავრცელებულია საზოგადოებაში.

2. შემდეგ დააწერეთ მესამე სვეტს „კაცი“ და თხოვეთ მონაწილეებს ჩამოთვალონ პიროვნეული თვისებები, უნარები და როლები, რომელიც მიეწერებათ მამაკაცებს.

3. თუკი მანაწილეები არ დაასახალებენ არცერთ უარყობით ან დადებით თვისებას, უნარს ან როლს თითოეული სქსესისათვის, მაშინ დაუმატეთ რამოდენიმე ისე, რომ ორივე სვეტის ჩამონათვალი მოიცავდეს როგორც დადებით, ისე უარყობით სიტყვებს.

4.თუკი მონაწილეები არ ახსენებენ არცერთ ბიოლოგიურ მახასიათებელს (როგორიცაა: მკერდი, წვერი, პენისი, ვაგინა) დაამატეთ ორივე სვეტში.

5. ახლა გადაადგილეთ პირველი და მესამე სვეტების დასათაურება, ისე, რომ პირველ სვეტს ეწეროს - კაცი და მესამე სვეტს - ქალი. მიყევით სვეტს და კითხეთ მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა მამაკაცებს გამოავლინონ ის თვისებები და ქცევები, რომლებიც მიეწერათ ქალებს და შეუძლიათ თუ არა ქალებს გამოავლინონ კაცებისათვის დამახასიათებელი თვისებები და ქცევები. ის მახასიათებლები, რომლებიც არ შეიძლება შეიცვალოს (ვერ ჩანაცვლდება ქალის ან კაცის სათაურის ქვეშ) თავსდება შუა სვეტში და ამ სვეტს ეძლევა სახელი-„სქესი“.

6. ბევრი დრო რომ არ დაიხარჯოს, არ არის საჭირო ცალ-ცალკე თითოეულ სიტყვაზე მსჯელობა; უბრალოდ მონაწილეებს შეიძლება ვკითხოთ, არის თუ არა რომელიმე სიტყვა ამ ჩამონათვლებში ისეთი, რომელიც სვეტის დასახელებას არ შეესატყვისება (რომლის გადანაცვლება არ შეიძლება). იმსჯელეთ შუა სვეტის („სქესი“) ყოველი სიტყვის შესახებ.

7. მონაწილეებმა უნდა იმსჯელონ ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობის შესახებ - ამ სავარჯიშოს ერთ-ერთი მიზანია იმის ჩვენება, რომ ადამიანები სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ გენდერზე დაფუძნებული თვისებების უმეტესობას.

განხილვა და შეფასება

აუხსენით მონაწილეებს, რომ ყველა სიტყვა, რომელიც შედის „კაცის“ და „ქალის“ სვეტის ჩამონათვალში ეხება გენდერს.

- ახსენით, რომ სქესი ეხება ბიოლოგიას და გენეტიკას, მაშინ, როდესაც გენდერი ეხება სოციალურ/კულტურულ წარმოდგენებს და საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის როლებს. ამის გამო, გენდერის შინაარსი შეიძლება იცვლებოდეს კულტურებისა და საზოგადოებების მიხედვით.
- აღნიშნეთ, რომ ადამიანები ხშირად აკავშირებენ ერთანეთთან სქესსა და გენდერს ან პირიქით და ჩამოთვლიან სქესთან და გენდერთად დაკავშირებით ერთი და იგივე სიტყვებს; სიტყვა „ გენდერი“ ხშირად გამოიყენება არასწორად „სქესის“ ნაცვლად (მაგალითად, როდესაც ადამიანს ეკითხებიან გენდერს სქესის ნაცვლად).
- ხაზი გაუსვით იმას, რომ ქალისა და მამაკაცის თვისებების შესახებ სტერეოტიპული აზრები შეიძლება დამაზიანებელი იყოს, რადგან ისინი ზღუდავენ ადამიანური შესაძლებლობების განვითარების პოტენციალს. თუ ჩვენ მივიღებთ ამ სტერეოტიპებს და ამ სტერეოტიპებით ვიხელმძღვანელებთ ჩვენს ქცევებში, ეს ხელს შეუშლის ჩვენი პირადი ინტერესებისა და უნარ-ჩვევების განსაზღვრას, დააბრკოლებს კაცს მონაწილეობა მიიღოს „ქალის საქმეში“ (როგორიცაა ბავშვთა აღზრდა), ქალს კი იმ როლის არჩევაში, რომელიც ტრადიციულად „კაცის საქმედ“ მიიჩნევა (მაგ. საინჟინრო საქმე, სპორტი).
- ხაზი გაუსვით იმას, რომ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სიამოვნება არ მივიღოთ იმ თვისებებით, რომელიც ჩვენს საკუთარ სქესთან არის დაკავშირებული, არამედ იმას, რომ ყველა ჩვენგანისათვის მნიშვნელოვანია ჩვენ თვითონ მივიღოთ გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა უნდა ვაკეთოთ.

რჩევები ფასილიტატორს

იყავით მზად იმისათვის, რომ შეძლოთ მსჯელობის წარმართვა სხვადასხვა ტიპის სექსუალობის შესახებ. სასარგებლო იქნება გაიმიჯნოს „სექსუალური ორიენტაცია“ და გენდერი. თუ საჭირო იქნა წარმოადგინეთ სექსუალური ორიენტაციის განმარტება დიდი ფურცლის ან ოვერჰედის პროექტორის გამოყენებით. აღნიშნეთ, რომ არა აქვს მნიშვნელობა ადამიანის სექსუალურ ორიენტაციას, მასზე ზეგავლენას ახდენს ის სოციალური მოლოდინები, რომელიც უკავშირდება მისი ბიოლოგიური სქესის შესატყვის ქცევებსა და როლებს.